ლიდერი მასწავლებლის თვითშეფასების ანგარიში

ნინო გოგიჩაიშვილი

მიმდინარე სასწავლო წელში მესამე თაობის ეროვნული გეგმის განსახორციელებლად, მათემატიკის კათედრამ აირჩია სიტუაციური ლიდერი მასწავლებელი, რომლის პატივი წილად მე მხვდა.

უპირველესად გავეცანი მოთხოვნებს, კოლეგებთან ერთად გავაცნობიერე რა იყო საჭირო სიახლეების დასანერგად. დავიწყეთ მუშაობა თემატური მატრიცის შესადგენად, რაშიც ხელი შეგვიწყო კონსოლიდირებული სასწავლო გეგმის ზოგადი და საგნობრივი საკითხების შესწავლამ. პირველ ეტაპზე დამოუკიდებლად შევადგინეთ მათემატიკის სწავლების სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცათა ნიმუშები, რომლებიც განვიხილეთ კოლექტიურად, შევიტანეთ მასში ცვლილებები და ვაპირებთ წლის ბოლომდე დავაკვირდეთ და ვიზრუნოთ მისი განვითარებისათვის.

მთავარი გამოწვევა კოლეგებისათვის გახდა კომპლექსური დავალება, რადგან ჯერ კიდევ კარგად ვერ ვართ გარკვეული ჩატარების სტრუქტურაში.

მასწავლებლების გარკვეულმა ნაწილმა კომპლექსური დავალება მოსწავლეებს თემის დამთავრების შემდეგ მისცა, როგორც შემაჯამებელი დავალება, რამაც მოსწავლეებში შესრულების სირთულე წარმოშვა. კომპლექსური დავალების შესრულებაში მოსწავლეებს მშობლებიც ეხმარებოდნენ. ამ ფაქტმა საეჭვო გახადა მოსწავლეთა მზაობის ხარისხის შემოწმება მიცემული საკითხის შესწავლის კუთხით.

მსჯელობისა და გამოცდილების ურთირერთ გაზიარების შემდეგ ჩამოვაყალიბეთ კომპლექსური დავალების მიცემისა და შერულების სტრუქტურა. რითაც გავაუმჯობესეთ კომპლექსური დავალების შესრულების ხარისხი, უკვე მოსწავლეები დიდი მოტივირებულნი ერთვებოდნენ კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში. მათი ნამუშევრები მრავალფეროვანი და პრეზენტაცია საინტერესო იყო, ისინი სხვადასხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენით აკეთებდნენ პრეზენტაციას, მათი მსჯელობა საქმიანი და სრულყოფილი იყო. შეეძლოთ საკვანძო შეკითხვებზე სრულფასოვანი და ამომწურავი პასუხის გაცემა.

კომლექსური დავალების შესრულების პროცესში, ვცდილობთ მოსწავლეები დავაახლოვოთ ერთმანეთს, ჩავუნერგოთ სხვისი გამოთქმული აზრის პატივისცემა, თუნდაც ეს აზრი მცდარი იყოს, რათა მოსწავლეს არ ჰქონდეს ამოცანების ამოხსნისას თუ მსჯელობისას შეცდომის დაშვების შიში.

ამგვარი მიდგომით შევადგინეთ კომპლექსური დავალება ყველა კლასში; ამ მიმართებით გამოცდილება მომცა "USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულმა ტრენინგმა „განმავითარებელი შეფასება" , აგრეთვე „ზოგადი განათლების რეფორმა" ტრნინგის გავლამ. რომლის ძირითად შინაარს პერიოდულად კოლგებსაც ვუზიარებდი. კოლეგებმა გაიზიარეს ჩემ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება, გავაცანი როგორ მქონდა გაწერილი დროში ნაბიჯ-ნაბიჯ შესასრულებელი დავალება და შეფასების რუბრიკები. გავაანალიზეთ ის ნაკლოვანებებიც რაც ახლდა ჩემს მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებს.

ერთ-ერთ ხარვეზად მივიჩნიეთ დავალების პეზენტაციის წარდგენისათვის მიცემული კონკრეტული ხერხის გამოყენება, კოლეგებმა ჩავთვალეთ რომ უფრო კარგი იქნება თუ მოსწავლეს პრეზენტაციის გაკეთების ფორმის არჩევის თავისუფალება ექნება.

შემდეგ დავალებებში შეფასების რუბრიკაში შევიტან კრიტერიუმს სადაც მივანიჭებ თავისუფლებას მოსწავლეს დავალების შესრულების დროს .
ვფიქრობ თანამშრომლობით შევძელი დავხმარებოდი კოლეგებს და შემდეგ მხარი დამეჭირა მათ მიერ თავის მოსწავლეებზე მორგებული კომპლექსური დავალებების შემუშავებასა და გამოყენებაზე.

II- სემესტრში განვაგრძობ მუშაობას კომპლექსური დავალებების წარმატებით გამოყენებისათვის, ვაპირებ ვითანამშრომლო სხვა მშობლებთან. კიდევ უფრო დავხვეწო და მრავალფეროვანი გავხადო შესრულების გზები და მიღწეული შედეგები გავუზიარო კოლეგებს, რითაც ვფიქრობ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო სკოლაში, სწავლებაში სიახლეების შეტანაში.

ნ. გოგიჩაიშვილი.

2021 წელი